

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობი ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
1. საერთო ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები და ახალი ფასს-ების მიღება	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	13
5. ძირითადი საშუალებები	15
6. მარაგები	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
8. საგადასახადო აქტივი, წმინდა	16
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	16
10. საწესდებო კაპიტალი	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	17
13. შემოსავალი რეალიზაციიდან	17
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
16. ფინანსური ხარჯი, წმინდა	18
17. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	18
18. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18
19. პოტენციური ვალდებულებები	18
20. რისკების მართვა	19
21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	20
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დელტა ინტერნეიშენალის“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის ————— დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

_____ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

_____დ.ფიფია

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დელტა ინტერნეიშენალის“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის 20/07 დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი



ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი



დ. გოგუა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დელტა ინტერნეიშენალის“ ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „დელტა ინტერნეიშენალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ

არა კომპანიას უნარი საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ორგანიზაცია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაკლენთ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

მალხაზ ვეფხვაძე

აუდიტორი SARAS-A-921548

საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორი

2018 წლის 20 ივლისი

თბილისი, საქართველო

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

მალხაზ ვეფხვაძე

აუდიტორი SARAS-A-921548

საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორი



2018 წლის 20 ივლისი

თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	25,341	28,076
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		-	36,255
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,341	64,331
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	15,017,633	13,253,731
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,724,583	4,883,063
საგადასახადო აქტივი, წმინდა	8	84,798	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	7,275,785	3,787,635
სულ მიმდინარე აქტივები		24,102,799	21,924,429
სულ აქტივები		24,128,140	21,988,760
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	530,070	2,038
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		12,791,859	13,368,453
სულ საკუთარი კაპიტალი		13,321,929	13,370,491
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება	11	-	1,684,462
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	1,684,462
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	10,806,211	5,742,333
საგადასახდო ვალდებულება, წმინდა	13	-	1,191,474
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		10,806,211	6,933,807
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,128,140	21,988,760

დირექტორი _____ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____დ. ფიფია

11 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	25,341	28,076
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		-	36,255
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,341	64,331
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	15,017,633	13,253,731
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,724,583	4,883,063
საგადასახადო აქტივი, წმინდა	8	84,798	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	7,275,785	3,787,635
სულ მიმდინარე აქტივები		24,102,799	21,924,429
სულ აქტივები		24,128,140	21,988,760
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	530,070	2,038
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		12,791,859	13,368,453
სულ საკუთარი კაპიტალი		13,321,929	13,370,491
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება	11	-	1,684,462
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	1,684,462
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	10,806,211	5,742,333
საგადასახდო ვალდებულება, წმინდა	13	-	1,191,474
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		10,806,211	6,933,807
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,128,140	21,988,760

დირექტორი

 ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

 დ. გვიფია

11 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“
სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	636,342	39,415,151
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(217,530)	(21,378,525)
საერთო მოგება		418,812	18,036,626
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(892,873)	(1,574,623)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(474,061)	16,462,003
ფინანსური ხარჯი, წმინდა	17	(17,804)	(25,349)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	18	(36,823)	21,972
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(47,906)	(1)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(576,594)	16,458,625
მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი		-	(2,670,359)
წმინდა მოგება/ზარალი		(576,594)	13,788,266
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება/ზარალი		(576,594)	13,788,266

დირექტორი _____ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____დ. ფიფია

11 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	636,342	39,415,151
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(217,530)	(21,378,525)
საერთო მოგება		418,812	18,036,626
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(892,873)	(1,574,623)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(474,061)	16,462,003
ფინანსური ხარჯი, წმინდა	17	(17,804)	(25,349)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	18	(36,823)	21,972
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(47,906)	(1)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(576,594)	16,458,625
მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი		-	(2,670,359)
წმინდა მოგება/ზარალი		(576,594)	13,788,266
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება/ზარალი		(576,594)	13,788,266

დირექტორი

ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

დ. გოგია

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(576,596)	17,759,484
კორექტირებები:		
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)	(17,901)	(447,347)
ცვეთა და ამორტიზაცია	2,735	2,494
უსასყიდლოდ გადაცემული მარაგები	-	-
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(591,762)	17,314,631
კლება/ზრდა:		
მარაგები	(1,763,902)	(8,363,126)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,158,480	(8,209,062)
საგადასახადო აქტივი, წმინდა	(432,259)	(1,391,099)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,492,534	881,427
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,863,091	232,771
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,220,000)	-
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2,643,091	232,771
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(29,282)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(29,282)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	528,032	(125,715)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	528,032	(125,715)
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება)/ზრდა	3,171,123	77,774
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	3,787,635	3,143,627
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი	317,027	566,234
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	7,275,785	3,787,635

დირექტორი _____ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____დ. ფიფია

11 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(576,596)	17,759,484
კორექტირებები:		
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული	(17,901)	(447,347)
შემოსავალი/(ზარალი)		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,735	2,494
უსასყიდლოდ გადაცემული მარაგები	-	-
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ	(591,762)	17,314,631
კაპიტალში ცვლილებამდე		
კლება/ზრდა:		
მარაგები	(1,763,902)	(8,363,126)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,158,480	(8,209,062)
საგადასახადო აქტივი, წმინდა	(432,259)	(1,391,099)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,492,534	881,427
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,863,091	232,771
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,220,000)	-
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა	2,643,091	232,771
ფულადი სახსრები		
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(29,282)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(29,282)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	528,032	(125,715)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	528,032	(125,715)
წმინდა ფულადი სახსრების (შემცირება)/ზრდა	3,171,123	77,774
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	3,787,635	3,143,627
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი	317,027	566,234
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	7,275,785	3,787,635

დირექტორი

 ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

 დ. გოგია

11 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	სულ საწესდებო კაპიტალი	მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	127,753	(419,813)	(292,060)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	50,764	-	50,764
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(176,479)	-	(176,479)
სრული მოგება წლის განმავლობაში	-	13,788,266	13,788,266
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,038	13,368,453	13,370,491
საწესდებო კაპიტალის ზრდა	845,000	-	845,000
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(316,968)	-	(316,968)
სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	(576,594)	(576,594)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	530,070	12,791,859	13,321,929

დირექტორი _____ ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ დ. ფიფია

11 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სულ საწესდებო კაპიტალი	მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	127,753	(419,813)	(292,060)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	50,764	-	50,764
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(176,479)	-	(176,479)
სრული მოგება წლის განმავლობაში	-	13,788,266	13,788,266
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,038	13,368,453	13,370,491
საწესდებო კაპიტალის ზრდა	845,000	-	845,000
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(316,968)	-	(316,968)
სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	(576,594)	(576,594)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	530,070	12,791,859	13,321,929

დირექტორი

 ო. ჩიტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

 დ. გოგია

11 – 21 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. საერთო ინფორმაცია

შპს „დელტა ინტერნეშენალი“ წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ 100% წილობრივ კომპანიას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 06 ივლისს. თავდაპირველად, კომპანიის რეგისტრაცია მოხდა შპს „სამამულო ავტოსერვისის“ სახელწოდებით, რაც 2014 წლის 31 მარტს შეიცვალა შპს „დელტა ინტერნეშენალით“. კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2014 წელს.

შპს „დელტა ინტერნეშენალის“ წესდების პირველი მუხლის 1.7. პუნქტი განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის საგანს, თუმცა მეწარმეთა კანონის შესაბამისად, მას როგორც მეწარმე სუბიექტს, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, რაც თავისმხრივ, შპს „დელტა ინტერნეშენალს“ გააჩნია. კერძოდ, საზოგადოებას მინიჭებული აქვს საქართველოსა და საზღვარგარეთ, სამოქალაქო და ორმაგი დანიშნულების საქონლით ვაჭრობის უფლება.

შპს „დელტა ინტერნეშენალი“ აქტიურად ახორციელებს მისი დამფუძნებლის, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ მიერ დამზადებულ, სამხედრო პროდუქციის რეალიზაციას მსოფლიო და ადგილობრივი მასშტაბით. მისი საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სამხედრო პროდუქციით ვაჭრობა.

2. მომზადების საფუძვლები და ახალი ფასს-ების მიღება

ა) შესაბამისობის ანგარიშგება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ევროგაერთიანების მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ფასს-თან ერთად) მიხედვით (მიღებული ფასს) და შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებულ ფასს-თან.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ბ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

გ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა. ხელმძღვანელობა არ მოელის, სხვა ახალი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული ფასს 15, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2016 წლის აპრილში, ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანამდები საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

სხვა მოქმედი სტანდარტებით (ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“).

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარისა და მოკლევადიანი იჯარის (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით) შემთხვევაში. საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის ხელახლა წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის თანახმად ყველა სავალო ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, კლასიფიცირებულია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგებაში ან ზარალში (სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში). აღნიშნული კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „საბაზისო სასესხო შეთანხმების“ განმარტებას, როგორიცაა სესხები „რეგრესის უფლების გარეშე“ ან ჩართული კონვერტაციის ოფციონის მქონე ინსტრუმენტები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, პირველადი აღიარებისას კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება აღნიშნული ინსტრუმენტები:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვა ხორციელდება სხვა საფუძველით, მათ შორისო სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

საკუთარ კაპიტალში შემავალი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აუცილებელია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ინსტრუმენტი გამოუთხოვადად არ არის კლასიფიცირებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც ფულადი ნაკადების და წმინდა ინვესტიციის ჰეჯირება.

ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „მოგება ან ზარალი საკურსო სხვაობებიდან“, სხვა საკურსო სხვაობებთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) **სესხები და მოთხოვნები.** ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. სხვა შემოსავალი, შესაბამის ხარჯებთან დანეტებული ფორმით, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ის წარმოიქმნა.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ მათგან მოსალოდნელი აღარ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა.

ხელფასებისა და ბონუსების აღრიცხვა

ხელფასების, პრემიებისა და ბონუსების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2015	1,310	-	-	1,310
შესყიდვები-გადმოცემა	23,535	2,933	2,815	29,283
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	24,845	2,933	2,815	30,593
შესყიდვები-გადმოცემა	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	24,845	2,933	2,815	30,593
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2015	(22)	-	-	(22)
ცვეთა 2016	(2,113)	(194)	(188)	(2,495)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	(2,135)	(194)	(188)	(2,517)
ცვეთა 2017	(2,353)	(194)	(188)	(2,735)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(4,488)	(388)	(376)	(5,252)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2016	22,710	2,739	2,627	28,076
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	20,357	2,545	2,439	25,341

6. მარაგები

მარაგები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნედლეული და მასალები*	7,122,163	6,595,993
დაუმთავრებელი წარმოება**	7,888,458	6,650,091
მზა პროდუქცია	7,012	7,647
სულ მარაგები:	15,017,633	13,253,731

* ნედლეული და მასალები წარმოადგენს 45 მანქანის პროექტის ფარგლებში შეძენილ სატრანსპორტო-საშუალებებს, რომლის ბაზაზეც იწყობა სამხედრო სამედიცინო ჯავშანმანქანა.

** დაუმთავრებელი წარმოება მოიცავს 70 მანქანის პროექტიდან დარჩენილი 17 მანქანის საწარმოებლად სსიპ სსტც დელტაზე გადაცემულ მარაგებს ასევე სამედიცინო ჯავშანმანქანების დამზადების ღირებულებას.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფულადი მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	1,106,592	4,881,241
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	883	1,822
სულ ფულადი მოთხოვნები	1,107,475	4,883,063
არაფულადი მოთხოვნები:		
გადახდილი ავანსები	617,108	-
სულ არაფულადი მოთხოვნები	617,108	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,724,583	4,883,063

8. საგადასახადო აქტივი, წმინდა

საგადასახადო აქტივი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
წინასწარ გადახდილი გადასახადები		
დღგ	1,568,666	-
საშემოსავლო გადასახადი	724	-
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,569,390	-
გადასახდელი გადასახადები		
მოგების გადასახადი	1,483,319	-
აქციზის გადასახადი	1,245	-
სხვა საგადასახდო ვალდებულება	28	-
სულ გადასახდელი გადასახადები	1,484,592	-
სულ საგადასახადო აქტივი, წმინდა	84,798	-

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარი	6,075,387	283,026
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, აშშ დოლარი	1,197,181	3,498,546
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ევრო	1,814	5,285
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ფუნტ სტერლინგი	1,403	777
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7,275,785	3,787,635

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100% წილის მფლობელია სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 530,070 ლარი და 2,038 ლარი, შესაბამისად. 2017 წელს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 845,000 ლარით, ხოლო შემცირდა სასაქონლო ფორმით რამაც შეადგინა 316,968 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

11. გრძელვადიანი ვალდებულება

გრძელვადიანი ვალდებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს სსტკ დელტას მიმართ გადასახდელ სამხედრო სამედიცინო ჯავშანმანქანების დამზადების მომსახურების ღირებულებას, მოცემული თარიღის მდგომარეობით შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფულადი ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	7,910,751	5,739,183
თანამშრომლებზე გადასახდელი თანხა	1,400	3,150
სულ ფულადი ვალდებულებები	7,912,151	5,742,333
არაფულადი ვალდებულებები:		
მიღებული ავანსები	2,894,060	-
სულ არაფულადი ვალდებულებები	2,894,060	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,806,211	5,742,333

13. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა

საგადასახადო ვალდებულება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გადასახდელი გადასახადები		
მოგების გადასახადი	-	2,703,320
აქციზის გადასახადი	-	1,528
სხვა საგადასახადო ვალდებულება	-	40,125
სულ საგადასახადო ვალდებულებები	-	2,744,973
წინასწარ გადახდილი გადასახადები		
დღგ	-	1,553,254
საშემოსავლო გადასახადი	-	245
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	1,553,499
სულ საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	-	1,191,474

14. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შემოსავალი სამედიცინო ჯავშანმანქანების რეალიზაციიდან	-	39,286,485
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	-	115,121
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	636,342	13,545
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	636,342	39,415,151

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სამედიცინო ჯავშანმანქანების თვითღირებულება	-	21,285,926
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-	84,585
მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	217,530	8,014
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:	217,530	21,378,525

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შრომის ანაზღაურება	705,942	980,292
მივლინების ხარჯი	52,820	99,394
პროფესიული მომსახურების ხარჯი	48,480	136,673
წარმომადგენლობითი ხარჯი	27,058	213,919
მოსაკრებლის ხარჯი	17,396	10,532
საბანკო ხარჯი	12,210	87,935
თაგმნისა და ნოტარიუსის ხარჯები	6,986	1,823
საკანცელარიო ხარჯი	5,409	326
იჯარის ხარჯი	3,056	1,661
ცვეთა და ამორტიზაცია	2,735	2,494
საფოსტო ხარჯი	2,328	15,285
კომუნიკაციის ხარჯი	1,634	2,431
დაცვის ხარჯი	1,424	8,881
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	5,395	12,977
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:	892,873	1,574,623

17. ფინანსური ხარჯი, წმინდა

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	31,701	8,236
საპროცენტო ხარჯი	(49,505)	(33,585)
სულ საპროცენტო ხარჯი, ნეტო	(17,804)	(25,349)

18. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება, წმინდა

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	1,117,424	1,318,175
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(1,154,247)	(1,296,203)
სულ კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი/მოგება	(36,823)	21,972

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი წარმოადგენს გადავადებულ საგადასადო აქტივს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელსაც კომპანია ვერ გამოიყენებს მომავალ წლებში.

20. პოტენციური ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

21. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლებელია რისკის ქვეშ იმყოფებოდეს, შემდეგი სახეობისაა:

- ფული და ფულის ექვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და რისკების განეიტრალების გზები

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს, რითაც მოწმდება არსებული პროცესების, დასახული მიზნებისა და მიღებული პოლიტიკების მართლზომიერება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი გამოწვეულია კონტრაგენტისათვის ფულის გასესხებით ან სხვა ტრანზაქციით, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ზრდასთან.

კომპანია დგას ძირითადი საკრედიტო რისკის წინაშე კომერციულ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების შემთხვევაში. კომპანიის მომსახურე ყველა ბანკი მოიაზრება საქართველოში მოქმედ უმსხვილეს ბანკებს შორის. ფულისა და ფულის ექვივალენტების გაუფასურებას ადგილი არ ქონია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლებელია შეიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

ნაკადების მოძრაობაზე ხშირად ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას არჩეული ვალუტის ფასის ცვლილება. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მცირეა კომპანიის სავალუტო რისკი მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

კომპანიის კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ახსნა-განმარტება

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

22. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები, ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით წარმოადგენს:

- ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები;

შესაძლო დაკავშირებული მხარეების განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა საერთო ოპერაციების შინაარსს და არა იურიდიულ ფორმას.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

	შენიშვნა	კავშირი	2017	2016	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	
					2017	2016
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები						
სსიპ "სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა"	11	შვილობილი	1,790,984	1,684,462	10,806,261	7,426,795
უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაცია	16		127,298	110,628	705,942	980,292

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ ჰქონია მაცორექტირებელი ან არამაცორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.



მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“

ქ. თბილისი 2018

შინაარსი

ზოგადი მიმოხილვა.....	24
მიზანი, განვითარება პერსპექტივები.....	24
პროდუქციის (მომსახურების) ბაზარი და მარკეტინგული სტრატეგია.....	25
მართვა და პერსონალი	25
ფინანსური ანგარიშგება	25
სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია	26
დასკვნა.....	27

ზოგადი მიმოხილვა

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ი (ს/კ 401960614) შეიქმნა 2011 წლის 7 ივლისს - რეგისტრირებულია შპს „სამამულო ავტოსერვისის“ ბაზაზე და წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს. უნდა აღინიშნოს, რომ შპს „სამამულო ავტოსერვისის“-ს 2014 წლამდე არ განუხორციელებია საფინანსო-სამეურნეო ოპერაციები. რეგისტრაციაში ცვლილება ძალაში შევიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 ივლისის დადგენილების შედეგად და სახელი გადაერქვა შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ად. კომპანიის 100%-ის წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი დელტა.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ი წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ერთ-ერთ უმსხვილეს და წარმატებულ კომპანიას სამხედრო დანიშნულების პროდუქციის რეალიზაციაში, რომელსაც 4 წლიანი ოპერირების პერიოდში საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა, წარმატებით გაიმარჯვა სხვადასხვა საერთაშორისო ტენდერში და დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო-თავდაცვით ორგანიზაციებსა და სამინისტროებთან. მისი ისტორიის მანძილზე შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-მა ქვეყნის შიგნით გაყიდა და ასევე ექსპორტზე გაიტანა ორმოც მილიონ ლარზე მეტი ოდენობის ჯავშანტექნიკა და სხვა სამხედრო დანიშნულების პროდუქცია. შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ი არის სსიპ სსსტ „დელტა“-ს დაქვემდებარებაში და მის ფუნქციას წარმოადგენს სსიპ სსსტ „დელტა“-ს მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვების უზრუნველყოფა. დროთა განმავლობაში შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-მა მოახერხა შეექმნა საიმედო პარტნიორის რეპუტაცია, როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო ბაზარზე მყოფ კომპანიებთან. აქვს სანდო და საიმედო პარტნიორის რეპუტაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტური ოპერირებისათვის, ბაზარზე პოზიციონირებისა და ბრენდის სიძლიერისთვის.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ი წარმოადგენს სსიპ სსსტ „დელტას“ დაქვემდებარებაში მყოფ კომპანიას და ახორციელებს მისი პროდუქტების გაყიდვების ფუნქციას. შესაბამისად, შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის ძირითადი მიზნებს წარმოადგენს მისი ამ ფუნქციის წარმატებით შესრულებას.

მზა პროდუქციის დამზადებისთვის საჭირო მასალების შესყიდვას ახორციელებს შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ი. თავისი საქმიანობის სფეროებიდან და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ს მიეცა საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის №525 დადგენილებით, რომელიც ვრცელდება შემსყიდველის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

მიზანი, განვითარება პერსპექტივები

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის ძირითადი მიზანი საკუთარ განვითარებაზე ზრუნვაა, რაც გულისხმობს სსიპ სსტ „დელტას“ მიერ წარმოებული პროდუქტის გასაყიდი პოტენციალის მუდმივ გაფართოებას, ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასა და უკვე დაკავებული საბაზრო წილების გაფართოებას. ასევე, ეფექტურობისა და მომგებიანობის ზრდას.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის მიზანს, გაყიდვების კუთხით წარმოადგენს კონტაქტებისა და თანამშრომლობების გამყარება საერთაშორისო ბაზარზე, პოტენციური მყიდველების უწყვეტი ძიება და ახალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება.

პროდუქციის (მომსახურების) ბაზარი და მარკეტინგული სტრატეგია

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის მიზნობრივ ბაზარს წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი ორგანიზაციები და სამინისტროები. ეს სეგმენტი გამოირჩევა დეტალებზე ორიენტირებულობით, თავისი საქმის მაღალ დონეზე ცოდნით. ისინი ხარისხს ფასის მიხედვით არ განსაზღვრავენ.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის უპირატესობაა რეპუტაცია და მოქნილობა. მისი ძირითადი საკომუნიკაციო მესიჯია: კონკურენტული ფასის მქონე ტექნოლოგიატევადი სამხედრო პროდუქცია.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის ძირითადი საკომუნიკაციო მიმართულება არის საერთაშორისო ბაზარი და ამ მიმართულებით ბრენდის ცნობადობის გაზრდა მიზნობრივ სეგმენტში. ამ ამოცანის შესრულების მიზნით კომპანია ანხორციელებს პირდაპირ მარკეტინგულ აქტივობას სფეროში ბაზრის ლიდერებთან (ლიდერ სამხედრო გამოცემებთან და რესურსებთან) და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანიზაციებთან (თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები). ასევე კომპანია აქტიურად გეგმავს საერთაშორისო თემატურ გამოფენებში და კონფერენციებში მონაწილეობას.

მართვა და პერსონალი

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ს აქვს მმართველობის ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება 6 ძირითადი სტრუქტურული ერთეულისგან, ესენია:

- ადმინისტრაციის დეპარტამენტი
- ფინანსების მართვის დეპარტამენტი
- კომერციული დეპარტამენტი
- ბიზნესის განვითარებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტი
- შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი
 - შესყიდვების სამმართველო
 - ლოჯისტიკის სამმართველო
- შიდა აუდიტისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის პერსონალის რიცხოვნობა არის 42 კაცი და 8 ქალი. აქედან 20 საშტატო, ხოლო 30 შტატგარეშე თანამშრომელი.

2017 წელს საშტატო და შტატგარეშე თანამშრომელთა დარიცხულმა ხელფასმა და პრემიებმა შეადგინა 705,942.17 ლარი, აქედან, დასაქმებულ ქალებზე გაცემულმა ხელფასმა და პრემიებმა 60,802.69 ლარი.

ფინანსური ანგარიშგება

შპს „დელტა ინტერნეიშენალი“ წარმოადგენს მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციას, რომელიც არ საჭიროებს გარე წყაროებიდან მოზიდულ დაფინანსებას. მას სრულად შეუძლია საკუთარი პროექტების საკუთარი სახსრებით დაფინანსება.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ი არ სარგებლობს საბანკო კრედიტით.

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ი ფინანსურ ანგარიშგებას 2014 წლის საანგარიშგებო პერიოდიდან აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება. სადაც ვერ დადგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებულ ბაზარზე დაყრდნობით, ისინი დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკით, რომელიც მოიცავს მათემატიკური მოდელების გამოყენებას. ეს მოდელები აღებულია შესწავლას დაქვემდებარებული ბაზრებიდან, სადაც ეს შესაძლებელია. თუ ისინი არ არის გამოსადეგი, მაშინ რეალური ღირებულების დადგენა ხდება მსჯელობით.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები

- უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც ფულადი ნაკადების და წმინდა ინვესტიციის ჰეჯირება.
- ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „მოგება ან ზარალი საკურსო სხვაობებიდან“, სხვა საკურსო სხვაობებთან ერთად.

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

კომპანიის შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2016 წელს შეადგენა 39,415,151 ლარი, ხოლო 2017 წელს 636,340 ლარი, რაც გამოწვეულია 2016-2017 წლებში დადებული კონტრაქტების შესრულებით 2018 წელში. კერძოდ, ანგარიშის შედგენის თარიღისათვის (2018 წლის ივლისის თვე) შესრულებულია 50 ერთეული საბრძოლო იარაღისა და 17 ერთეული სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანის შეკვეთა და დაიწყო 2015 წელს გაფორმებული კონტრაქტის შესრულება, რომელიც შეეხება 45 ერთეული სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანის მიწოდებას, საიდანაც კომპანია

სარგებელს ელოდება 2018-2019 საანგარიშგებო წლებში.

	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	636,340	39,415,151

2016 წელთან შედარებით 2017 წელში კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი გაიზარდა 3,488,148 ლარით, რაც გამოწვეულია 2017 წელს არსებული აქტიური პროექტების ფარგლებში კონტრაქტორებისგან მიღებული ფულადი ავანსებით.

დასკვნა

ამგვარად, არსებული აქტიური კონტრაქტები, სამომავლო გეგმები და მენეჯმენტის ხედვა კომპანიის განვითარებასთან დაკავშირებით იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას დაგეგმილი გეგმების შესასრულებლად, რომელიც შეეხება კომპანიის მზარდ განვითარებას და მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

დირექტორი

ო. ჩიტეიშვილი

წარმომადგენელი

უ. ძომუაშვილი

შპს „დელტა ინტერნეიშნალ“

საქმიანობის მიმოხილვა

სარგებელს ელოდება 2018-2019 საანგარიშგებო წლებში.

	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	636,340	39,415,151

2016 წელთან შედარებით 2017 წელში კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი გაიზარდა 3,488,148 ლარით, რაც გამოწვეულია 2017 წელს არსებული აქტიური პროექტების ფარგლებში კონტრაქტორებისგან მიღებული ფულადი ავანსებით.

დასკვნა

ამგვარად, არსებული აქტიური კონტრაქტები, სამომავლო გეგმები და მენეჯმენტის ხედვა კომპანიის განვითარებასთან დაკავშირებით იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას დაგეგმილი გეგმების შესასრულებლად, რომელიც შეეხება კომპანიის მზარდ განვითარებას და მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

დირექტორი



ო. ჩიტეიშვილი

წარმომადგენელი



უ. ძოძუაშვილი